ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

ი.ბ.ა. ,,მი”-ის თავმჯდომარე დ. ზ. და ი.ბ.ა. ,,მი”-ის წევრი ვ. ს. ადვოკატ ნ. ო. წინააღმდეგ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: დავით კაკაბაძე

კოლეგიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კოლეგიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

საჩივრის ავტორი: ი.ბ.ა. ,,მ ი”-ის თავმჯდომარე დ. ზ.

ი.ბ.ა. ,,მი”-ის წევრი ვ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.05.2011

საჩივრის რეგისტრაციის № 046/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი 26.10.11

საჩივარი შემოტანილია – ადვოკატ ნ. ო. მიმართ, სიითი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ო. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 11 მაისს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ი.ბ.ა. ,,მი”-ის თავმჯდომარემ დ. ზ. და ამავე ამხანაგობის წევრმა ვ. ს. ადვოკატ ნ.ო. მიმართ.

1.2 საჩივრის მიხედვით, ამხანაგობის თავმჯდომარემ დ. ზ. 2007 წლის 27 ივნისს გაუფორმა მინდობილობა ნ. ო., რომელსაც უნდა განეხორციელებინა ამხანაგობის ინტერესების დაცვა.

1.3 2007 წლის 21 აპრილს შედგა ამხანაგობა ი.ბ.ა. ,,მი”-ის დამფუძნებელ წევრთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ამხანაგობაში გაწევრიანების მსურველი მოქალაქეები, მათ შორის ადვოკატი ნ. ო. ნ. ო.ს განცხადებით, ამხანაგობაში გაწევრიანებისა და მშენებარე კორპუსში საცხოვრებელი ფართის გამოყოფის სანაცვლოდ, იგი აწარმოებდა ამხანაგობის იურიდიულ-სამართლებრივ საქმიანობას, დაიცავდა ამხანაგობის ინტერესებს ადმინისტრაციულ ორგანოებში, აგრეთვე უზრუნველყოფდა პირველი სართულის აშენებისთვის საჭირო მასალების შეძენას.

1.4 საჩივრის თანახმად, კრებამ დააკმაყოფილა ნ. ო. განცხადება, რის შემდეგაც მან დაიწყო ამხანაგობის იურიდიული საქმეების წარმოება, მოგვიანებით გავიდა ამხანაგობის წევრობიდან, თუმცა იურიდიული საქმიანობა გააგრძელა.

1.5 2007 წლის 11 ივნისს ხანგრძლივი წვიმებისგან ჩამოინგრა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის მომიჯნავე სახლთმფლობელობის ერთ-ერთი კედელი, მდებარე თბილისი, გუთნის ქ.#--, რამაც წარმოშვა დავები სასამართლოში, ადმინისტრაციულ და სამართალდამცავ ორგანოებში. მითითებულ დავებს აწარმოებდა ადვოკატი ნ. ო.

1.6 საჩივრის ავტორების განმარტებით, დავები თავისი მნიშვნელობითა და დავის საგნის გათვალისწინებით იყო რთული, რაც დაკავშირებული იყო პასუხისმგებლობასა და შრომატევად საქმიანობასთან, მაგრამ დღესდღეისობით იკვეთება, რომ კვალიფიციური იურისტის ჩარევითა და მხარეებთან დიპლომატიური მოქმედების შედეგად ყველა დავა იყო მოგვარებადი. ადვოკატმა ნ. ო. ისარგებლა რა ამ სიტუაციით და ამხანაგობის წევრთა უპირობოდ გამოცხადებული ნდობით, ყველა საქმე აწარმოა იმ მიმართულებით, რომ ზედაპირულად ამხანაგობა ,,მი”-ის საქმე არ გაფუჭებულიყო, თუმცა ყველა დავა დროში გაიწელა და ადვოკატის საქმიანობის შედეგად მოწინააღმდეგე მხარეებთან კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა.

1.7 საჩივრის თანახმად, სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეებად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2009 წლის 28

აპრილის და ამავე წლის 05 მაისის გადაწყვეტილებების საფუძველზე დარეგისტრირდნენ მ. გ. და ნ. გ. მ. გ. სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომლის მიხედვითაც ამხანაგობა ,,მი”-ის საკადასტრო საზღვრებზე ზედდება არ ფიქსირდებოდა. სინამდვილეში მ. გ. მიერ აშენებული უკანონო ნაგებობა, რომლის დემონტაჟიც დაევალა მას ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ და დღემდე არ განუხორციელებია, კვეთს ამხანაგობის საკადასტრო საზღვარს. ზედამხედველობის სამსახურში ადმინსტრაციული წარმოება 2007 წელს მ. გ. მიმართ ამხანაგობის ინტერესების გათვალისწინებით აწარმოვა ნ. ო. სამი წლის მანძილზე გ. ცდილობდნენ საკუთრების უფლებით აღერიცხათ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, თუმცა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთსა და გ. მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთს შორის ზედდების არსებობის გამო, მათ საკუთრების უფლებით რეგისტრაცია ვერ შეძლეს.

1.8 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აზომვითი ნახაზის საფუძველზე გ. მოახდინეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. სანაცვლოდ ნ. ო. ნ. გ. მიიღო 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე გუთნის II ჩიხი №--, თელავის №-- ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატმა, საკუთრების უფლების რეგისტრაცია ვერ განახორციელა, ვინაიდან ამხანაგობამ შეუჩერა წარმოება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით, გარდა ამისა სარჩელი ამხანაგობის სასარგებლოდ დაკმაყოფილდა და გაუქმდა ის ადმინისტრაციული აქტები, რომლითაც მოხდა გ. საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ნ. ო. ხელი შეუწყო მოწინააღმდეგე მხარეს ამხანაგობის ინტერესების საწინააღმდეგოდ განეხორციელებინათ ქმედებები.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ისარგებლა შექმნილი, ისედაც რთული მდგომარეობით, იგი კიდევ უფრო ამძიმებდა საქმის ვითარებას თავისი საუბრით და ადასტურებდა, რომ ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა რისთვისაც ესაჭიროებოდა ყოველდღიური ხარჯები, რამაც ორი წლის განმავლობაში შეადგინა დაახლოებით 21 000 ლარი, თუმცა საჩივრის ავტორების განცხადებით ხარჯთაღრიცხვა არ აქვთ, რომ კომისიაში წარმოადგინონ.

1.10 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ნ. ო. უარი განაცხადა მ. და ნ. გ. წინააღმდეგ სარჩელის შეტანაზე და განმარტა, რომ ,,აღნიშნული სარჩელის აღძვრით საკუთარ თავს უჩივლებდა, რადგან იგი ფართის მესაკუთრე ხდებოდა გუთნის II ჩიხი №2--- ში. ამასთანავე დასძინა, რომ იგი არც ერთ დავაზე ამხანაგობა ,,მი ”-ის ინტერესებს აღარ დაიცავდა.

1.11 საჩივრის თანახმად, დ. ზ. მიერ ნ. ო. გაცემული მინდობილობა გაუქმდა 2009 წლის 12 მაისს.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატის მიერ მოწინაღმდეგე მხარესთან თანამშრომლობამ და საქმისადმი გულგრილობამ გამოიწვია ამხანაგობისადმი დიდი ზიანის მიყენება.

1.13 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატ ნ. ო. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატის განცხადებით, 2007 წლის აპრილიდან აწარმოებდა იურიდიულ–სამართლებრივ საქმიანობას მისი კვალიფიკაციის შესაბამისად, წარმოადგენდა ამხანაგობის ინტერესებს ადმინისტრაციულ ორგანოებში, სასამართლოსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორებსა და მას შორის არ იყო ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობა, არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი კუთხით. ადვოკატმა განმარტა, რომ მხარეებს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაფორმებულა და ის წარმოადგენდა ამხანაგობის წევრს, რომელსაც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებები წარმოეშვა ამხანაგობის წინაშე.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ი.ბ.ა. „მი"-ს ემიჯნება ორი მიწის ნაკვეთი, გუთნის ქ. # --ა და გუთნის მე-2 ჩიხი --. გუთნის ქ. # --ა ჰყავდა ოთხი თანამესაკუთრე, ხოლო გუთნის მე-2 ჩიხი -- ორი თანამესაკუთრე, მ. და ნ. გ.. ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. გ. იზიარებდა ი.ბ.ა. „მი"-ის პოზიციებს და ნ. გ. წარმომადგენლობას ამხანაგობის ნებართვითა და თანხმობით ორი წლის განმავლობაში ახორციელებდა. შესაბამისად, მისი ინტერესების დაცვას არც კანონი და არც პროფესიული ეთიკის კოდექსი არ უკრძალავდა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მ. გ. ამხანაგობას ჰქონდა კონფლიქტური სიტუაცია.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ ი.ბ.ა ,,მი"-თან დავებს, რაც გამოიწვია თბილისი, გუთნის ქ. №--ა-ში მომიჯნავე სახლთმფლობელობის ერთ-ერთი კედლის ჩამონგრევამ, აწარმოებდა როგორც ამხანაგობის ინტერესების დამცველი ადვოკატი ამხანაგობაში მისი შესატანიდან გამომდინარე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მეზობელი სახლთმფლობელობის კედლის ჩამონგრევის შედეგად სახლის კედლის ნანგრევები მთლიანად ჩაყრილი იყო ი.ბ.ა. ,,მი"-ის ქვაბულში, რაც ქმნიდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობას, ამასთან, ამხანაგობა ვერ იწყებდა მრავალსართულიანი სახლის მშენებლობას. აღნიშნულის გამო მიმართა სხვადასხვა კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს,

ხოლო შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინსტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით და მოითხოვა ამხანაგობის სახსრებით ქ.თბილისი, გუთნის №--ა სასაზღვრო ზოლის დანგრეული და ავარიული ნანგრევებისგან გაწმენდა. მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დაკმაყოფილდა და 2007 წლის აგვისტოში ამხანაგობამ განახორციელა გუთნის №--ა სასაზღვრო ზოლის დანგრეული და ავარიული ნანგრევებისგან გაწმენდა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა.

2.5 ადვოკატი აღნიშნავს, რომ გუთნის ქ. ---ში ნ. გ. შეიძინა ნასყიდობის ხელშეკრულებით უძრავი ნივთის ნაწილი, ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებელი მ. თ. გაბრაზდა და ადვოკატთან დაიწყო კონფლიქტი. ადვოკატის განმარტებით, ნ. გ. და ამხანაგობის ზოგიერთ წევრს შორის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, როდესაც გახდა მისთვის ცნობილი, გააუქმა ნასყიდობის ხელშეკრულება ნ. გ. და დაუბრუნა მის მიერ გადახდილი თანხა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად შეწყვიტა ნ. გ. საქმისწარმოება.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ნ. გ. ოჯახთან ამხანაგობას კარგი ურთიერთობა ჰქონდა 2009 წლის მაისის შუა რიცხვებამდე. მისთვის მათი ურთიერთდაპირისპირების შესახებ 2009 წლის 12 მაისს გახდა ცნობილი, როდესაც ი.ბ.ა. ,,მი ”-ის თავჯდომარემ მისი რწმუნებულება გააუქმა.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ მას ამხანაგობის საქმეებისადმი გულგრილობა არ გამოუჩენია, პირიქით 2007 წლის აპრილიდან ყოველდღიურად დაკავებული იყო ამხანაგობის საქმეების წარმოებით, რომელიც იმ დროისთვის და დღეის მდგომარეობითაც ამხანაგობის სასარგებლოდ მიმდინარეობს. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობას, აღნიშნულს ახორციელებდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ საქმეები მორიგებით დაემთავრებინა, რაზეც საბოლოო ჯამში ამხანაგობის დანარჩენმა წევრებმა თანხმობა არ განაცხადეს.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ არანაირი ზიანი არ მიუყენებია ამხანაგობის ინტერესებისათვის. პირიქით, მისი საადვოკატო საქმიანობით ამხანაგობამ დიდი მოგება მიიღო.

3. **დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1 2011 წლის 10 ივნისს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ო. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ნ. ო. მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის

კოდექსის მე-3 მუხლი ნდობის პრინციპის თაობაზე, მე-4 მუხლი კონფიდენციალობის დაცვის შესახებ, მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვისა და მე-6 მუხლი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

3.3 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატმა ნ. ო. ნ. გ. გაწეული იურიდიული დახმარებით შექმნა საკუთარი კლიენტის - ი.ბ.ა. ,,მი" მიერ განდობილი ინფორმაციის გამჟღავნების და ამ ინფორმაციის კლიენტის საწინააღმდეგოდ გამოყენების რისკი. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს". ასეთი რისკის წარმოშობის საფრთხის გათვალისწინება, გ. წარმომადგენლის სახით იურდიული მომსახურების გაწევამდე, შესაძლებლი იყო და ადვოკატს უნდა ევარაუდა. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, რეალურად წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი, რასაც თავად ადვოკატის განმარტებაც ადასტურებს.

3.4 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ნ. ო. ნ. გ. გარიგების დადება - უძრავი ქონების შესყიდვა ცხადია, სამოქალაქო კოდექსით არ ეკრძალება, თუმცა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით ადვოკატმა ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოს კლიენტის ინტერსების პრიორიტეტულობით და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა. კომისიის მოსაზრებით, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატმა ნ. ო. სავარაუდოდ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-4, მე- 5 და მე -6 მუხლები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ნ. ო. წარმოადგენდა ი.ბ.ა. „მი"-ის წევრს და აიღო ვალდებულება დაეცვა ამხანაგობის ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სასამართლოსთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში. აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად ამხანაგობის თავმჯდომარემ ადვოკატს გაუფორმა რწმუნებულება, ხოლო 2009 წლის 12 მაისს შეუწყვიტა მას მინდობილობა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მი"-ის წევრთა 21.04.2007 კრების # 1 ოქმი
2. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მი"-ის წევრთა 12.05.2009 კრების # 8 ოქმი

3. 2009 წლის 12 მაისის სანოტარო აქტი რეგისტრაციის, რწმუნებულების გაუქმების თაობაზე.
4. 2011 წლის 11 მაისის საჩივარი.
5. ადვოკატი ნ. ო. 2011 წლის 1 ივნისის ახსნა-განმარტება
6. 2011 წლის 19 სექტემბრის განხილვის სხდომის ოქმი

4.1.2 ადვოკატმა ნ. ო. 2009 წლის 9 მაისს ნ. გ. შეისყიდა მიწის ნაკვეთის ნაწილი, მდებარე, თბილისი, გუთნის მეორე ჩიხი 2/თელავის # --. 2009 წლის 5 ივნისს ადვოკატმა გააუქმა ნასყიდობის ხელშეკრულება ნ. გ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2011 წლის 5 ივნისის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, სანოტარო რეგისტრაციის # --
2. 2009 წლის 11 მაისი, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განცხადების მიღების ბარათი.

4.1.3. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეჩერდა ადვოკატ ნ. ო. 2009 წლის 11 მაისის განცხადებაზე, უძრავი ქონების რეგისტრაციის წარმოება. კერძოდ, ი.ბ.ა. „მი“-ის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შედეგად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სარეგისტრაციო წარმოების დასრულება ადვოკატ ნ. ო. 2009 წლის 11 მაისის განცხადებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისში, გუთნის მეორე ჩიხი #2/თელავის ქუჩა #-- მდებარე უძრავ ქონებასთან მიმართებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2009 წლის 14 მაისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, საქმე # 18-162.

5. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ნ. ო. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ო. მიერ დარღვეულ იქნა შემდეგი მუხლები:

ა) „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით ,,ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“

ბ) „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მეხუთე მუხლი, რომლის მიხედვით ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა“.

6.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ნ. ო. გახლდათ ამხანაგობა „მი“-ის წევრი და ამასთანავე ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას, იცავდა ამხანაგობის ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად. გასათვალისწინებელია, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს გარკვეული შენატანის განხორციელება. სამოქალაქო კოდექსი აღნიშნული ხელშეკრულებისათვის გათვალიწინებულ შენატანად დასაშვებად მიიჩნევს ყველა სახის აქტივს, რომელსაც ამხანაგობის წევრს შეაქვს საერთო საქმეში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საერთო მიზნის სწრაფ და ეფექტურ მიღწევას.

6.3 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთვევაში ადვოკატის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ ადვოკატს თავისი პროფესიული მოვალეობის განხორციელებით უნდა უზრუნველყო ამხანაგობის წინაშე აღებული ვალდებულებების, წარმომადგენლობის განხორციელება. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობას საქართველოში ახორციელებს ადვოკატი და იგი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იმოქმედოს კანონის, პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში და ვალდებულია შეასრულოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავად პროფესიული საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას და არა აქვს მნიშვნელობა ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება განახორციელა ამხანაგობაში შენატანის სახით, თუ ფულადი საზღაურის სანაცვლოდ ემსახურებოდა მას. ადვოკატი, საადვოკატო მომსახურების დროს წარმოადგენს პირს, რომელიც ასრულებს პროფესიულ ვალდებულებას, მოცემულ შემთხვევაში ასევე არა აქვს მნიშვნელობა საკუთარი ოჯახის წევრს უწევს მომსახურებას, თუ ამხანაგობას, ყველა მათგანი მის კლიენტებს წარმოადგენენ და შესაბამისად, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს პროფესიული ვალდებულებების და კანონის ფარგლებში.

6.4 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ი.ბ.ა. „მი“-სა და ადვოკატ ნ. ო. შორის ურთიერთობა კლიენტის და ადვოკატის ურთიერთობა გახლდათ. ამხანაგობის კრების # 8 ოქმის მიხედვით, ადვოკატმა აიღო ვალდებულება დაეცვა ამხანაგობის ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სასამართლოსა და მესამე პირებთან ურთერთობაში. შესაბამისად, ამხანაგობა წარმოადგენდა კლიენტს, რადგან ადვოკატმა

თავის თავზე აიღო ვალდებულება, მისი პროფესიის საშუალებით განეხორციელებინა შენატანი ამხანაგობაში და დაეცვა კლიენტის ინტერესები.

6.5 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევის ფარგლებში, ადვოკატ ნ. ო. ევალებოდა დაეცვა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“ დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპი, რომლის დროსაც ადვოკატი დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

6.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატები კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

6.7 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე, საქმე # 057/10 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ “ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე.”

6.8 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ნ. ო. ა. ამხანაგობა „მი“ მომიჯნავე მიწის ნაკვეთი შეიძინა და ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა 2009 წლის 9 მაისს. ადვოკატი ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ წარმოადგენდა ამხანაგობას და რწმუნებულება მხარეებს შორის ძალაში გახლდათ. შესაბამისდ, ადვოკატს შეეძლო გაეთვალისწინებინა ის რისკი, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ახლდა თან, რადგან მ. და ნ. გ. უძრავი ქონების ზედდება მოხდა ამხანაგობის უძრავი ქონებასთან მიმართებით და ამხანაგობის მიწის ნაკვეთი გ. საკუთრებაში აღმოჩნდა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნ. გ. საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე წარმომადგენლობას თავად ადვოკატი ახორციელებდა და მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო აზომვითი ნახაზის მიხედვით, მიწის ნაკვეთის გადაფარვის თაობაზე.

6.9 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ნ. ო. მიერ ნ. გ. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარმოიშვა მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ ადვოკატის პირადი ინტერესები დაუპირისპირდა ამხანაგობის ინტერესებს, რადგან ადვოკატი გახდა სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილის მესაკუთრე. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ადვოკატს წარმოეშვა საკუთრების უფლება, რომელიც დაუპირისპირდა ამხანაგობის საკუთრების უფლების დაცვას. ადვოკატმა თავად დააყენა რისკის ქვეშ კლიენტის ინტერესების დაცვა და არჩევანი პირად ინტერესებსა და ამხანაგობის ინტერესებს შორის, საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობაზე გააკეთა, როდესაც შეიძინა სადავო მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ წარმომადგენლობის განხორციელების

პროცესში ადვოკატმა საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესების დაცვას, კანონის ყველა საშუალებების გამოყენებით დაეცვა კლიენტი.

6.10 ეთიკის კომისიამ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისას გაითვალისწინა, რომ ამხანაგობამ შეძლო ხელშეკრულებით დასახული მიზნისათვის მიღწევა, ბინა აშენდა და საკუთრების უფლება ამხანაგობას დარეგისტრირებული აქვს საჯარო რეესტრში, რაც კომისიას უქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ამხანაგობას ზიანი არ მიადგა. თუმცა, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ზიანი საფრთხის აცილება მოხდა არა ადვოკატის მოქმედებით, არამედ თავად ამხანაგობის მიერ. ამხანაგობამ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, არ მისცა შესაძლებლობა ადვოკატს საჯარო რეესტრში დაერეგისტრირებინა უძრავი ქონება. ხოლო ადვოკატმა, ნ. ო. გააუქმა ნ. გ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, მხოლოდ მას შემდეგ რაც ამხანაგობამ ზემოთაღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენა მის მიმართ. (იხ. უდავო ფაქტობრივი გარემოება 4.1.3)

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, მე-8 მუხლის პირველი პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-19 და მე-20 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. ო. მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი შეინახოს დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილი კონვერტით. მისი გახსნა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ადვოკატ ნ. ო. წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი გადაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
4. ადვოკატ ნ. ო. უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან 1 თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: დავით კაკაბაძე

კოლეგიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კოლეგიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი